

შპს „სოლუმ დეველოპმენტი“ – (ს/კ405148086)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ძირითადი საქმიანობა (ზოგადი ინფორმაცია).

შპს “სოლუმ დეველოპმენტი“ 2016 წლის 3 მაისიდან აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 405148086.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზ.მირაქიშვილის ქუჩა # 29.

საზოგადოები სდამფუძნებელი/პარტნიორები შესაბამისი წილებით არის:

20001004963 ივანე ჯავარიძე, საქართველო- 50%

01030015659 ლევან დევაძე, საქართველო -50 %

საზოგადოების ხელმძღვანელად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - ლევან დევაძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი 01030015659).

წესდების შესაბამისად ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის საგანია: ნებისმიერი სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა მოგების მიღების მიზნით, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით. ფაქტობრივად კი საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების შემუშავება.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ჯაშბ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასის-ის). ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. მართვის საინფორმაციო სისტემის და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესახებ.

ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ

ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ სავალუტო კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თავდაპირველი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	25 წლამდე
საოფისეაღჭურვილობადაინვენტარი	3 წლამდე
ავტოსატრანსპორტოსაშუალებები	5 წლამდე

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს (ან ფიფო მეთოდს) და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაწყობო აღრიცხვა ხორციელდება კომპიუტერული პროგრამა `ორისით`;

მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნები მიწოდებიდან ბალანსში აისახება ნეტო თანხით ანუ საექვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით;

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების შპს-ს პარტნიორების საერთო კრებაზე განხილვის დროს.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი – 30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა14). მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარებახდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელიამისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შედგება ყოველთვიურად ფინანსური დირექტორის
პასუხისმგებლობით.

შპს „სოლუმ დეველოპმენტის“: დირექტორი



ფინანსური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი :



თარიღი: 26.09.2025

შპს „სოლუმ დეველოპმენტი“ - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარი

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		335,326	362,311
სხვა გრძელვადიანი აქტივები		468,332	695,679
გრძელვადიანი აქტივები		803,658	1,057,990
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		25,630	23,730
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		2,011,811	1,549,152
მარაგები გადახდილი ავანსები მზა პროდუქცია სხვა მოკლევადიანი აქტივები		8,890,734 373,095	5,417,274 17,838
მთლიანი აქტივები		12,104,928	8,065,984
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		155,605	125,559
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,322,959	3,033,976
გადაფასების რეზერვი			0
სულ კაპიტალი		2,478,564	3,159,535
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		1,688,083	2,793,891
სხვა ვალდებულებები		7,484,656	1,768,940
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		453,625	82,296
საგადასახადო ვალდებულებები			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები(სესხი)			261,322
გადასახდელი დივიდენდი			
მთლიანი ვალდებულებები		9,626,364	4,906,449
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12,104,928	8,065,984

დირექტორი:



მთ.ბუღალტერი:



შპს „სოლუმ დეველოპმენტი“

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები		249,971	34,457
თვითღირებულება		(218,746)	(2,254)
საერთო მოგება		31,225	32,203
სხვა შემოსავლები			0
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(341,563)	(354,988)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		0	(100,805)
სხვა ხარჯები (საპროცენტო ხარჯები)		(366,357)	(207,789)
საოპერაციო მოგება		(676,695)	(631,379)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(16,776)	29,549
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე		(693,471)	(601,830)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება(ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		(693,471)	(601,830)

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:





შპს „სოლუმ დეველოპმენტი“- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის,რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

	12/31/2024	12/31/2023
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(693,471)	(601,830)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3,159,535	3,768,665
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		10,100
კაპიტალის სხვა ცვლილებები	12,500	(17,400)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,478,564	3,159,535

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი: 



შპს „სოლუმ დეველოპმენტი“

შენიშვნები (ლარი)

#	დასახელება	2024	2023
	ოფისის აღჭურვილობა	2664	3977
	ავეჯი და სხვა ინვენტარი	11443	14548
	მანქანა-დანადგარები	321219	343786
		335,326	362,311

	ფული საბანკო ანგარიშებზე	25,630	23,730
--	--------------------------	--------	--------

	შრომის ანაზღაურება	213132	170084
	საოფისე ინვენტარი		
	ბანკის საკომისიო	66079	10648
	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	23463	189711
	დაზღვევა	3412	12572
	საწვავის ხარჯი	5368	6405
	საკანცელარიო ხარჯი	18	323
	საავტომობილო მომსახურება	329	416
	საბუღალტრო მომსახურება	9085	12000
	საპროცენტო ხარჯები	366357	207598
	ცვეთა და ამორტიზაცია	30799	49607
	მარკეტინგის ხარჯები		
	საკურსო ზარალი/მოგება		
	სოციალური დანარიცხები	6424	
	საგადასახადო ხარჯები		4218
	კომუნიკაციის ხარჯები	230	
	საქველმოქმედო ხარჯი		
	ჯარიმის ხარჯი		

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

ბ. ბერიძე

[Handwritten signature]